

კეთილსინდისიერება და მისი მნიშვნელობა ნასყიდობის ხელშეკრულებაში

მირიან არიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ირმა პერანიძე, სამართლის მაგისტრთან გათანაბრებული

სალომე გაგნიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირიან არიშვილი:

2015 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპი და მისი არსი. თუ რა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს მას სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველსაყოფად. რასთან ასოცირდება ის, როგორ უნდა მოიქცნენ მხარეები გარიგების (კერძოდ ნასყიდობის ხელშეკრულების) დადებისას. განხილულია უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის მხარეთა კეთილსინდისიერების განმსაზღვრელი ფაქტორები როგორც საკანონმდებლო დათქმებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით. მოკლედ მიმოხილულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გაკეთებული დათქმები კეთილსინდისიერების შესახებ, რომელიც შეეხება მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას. აგრეთვე ნაჩვენებია ის სისტემური სხვაობა, რომელიც არსებობს ქართულ და გერმანულ სამართალს შორის სანივთო გარიგების დადებისას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კეთილსინდისიერების არსის გაცნობას ნასყიდობის ხელშეკრულებაში და შემდგომ ინტერესების უპირატესობის წარმოჩენას. აგრეთვე იმ სამართლებრივი შედეგის სახესხვაობის გამოკვეთა, რომელიც არსებობს გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, მოძრავ ნივთზე გარიგების დადებისას, რომელიც გამოწვეულია განსხვავებული სისტემათა არსებობის გამო. ამიტომაც უნდა შეიქმნას სისტემასთან მორგებული კანონმდებლობა და მხოლოდ ნორმების კოპირება გერმანულიდან არ არის საკმარისი, მიუხედავად იმისა რომ ერთი სამართლის ოჯახის ქვეყნები ვართ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კეთილსინდისიერება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, უზენაესი სასამართლო, გადაწვეტილება, ავტოსატრანსპორტო საშუალება, ავტომანქანა, საკუთრების უფლება, შემდგომი, გამსხვისებელი, მესაკუთრე, უძრავი ნივთი, მოძრავი ნივთი.

Abstract

This paper deals with the principle of bona fides and its essence. It explains how important the bona fides is for securing the civil circulation, what it is associated with and how the parties have to act while concluding the purchase agreement. The defining factors of bona fides of the parties, who are about to have the property rights on real and movable properties, are considered in this paper. These factors are discussed as they are followed from legislative agreements; as well as, they are discussed according to the practice established by the Supreme Court of Georgia. The agreements about the bona fides made in the German Civil Code are reviewed briefly. These agreements are about the arising the property rights on movable property. The systemic difference, which exists between Georgian and German Law during the property transactions, is also shown in this paper.

This paper aims to introduce the concept of bona fides in the agreement of the deed of purchase and the primacy of the interests of a purchaser. It also aims to show the difference of the lawful outcome existing in German and Georgian Civil Law during the conclusion of an agreement on movable property. This difference is caused by the existence of the different systems. That is why, there is need of creating the flexible legislation in relative to the system. Despite being the countries of one law family, copying the norms from Germany is not enough.

Basic key search words: bona fides, the Civil Code of Georgia, the Civil Code of Germany, the Supreme Court, decision vehicle, car, property right, purchaser, alienator, the owner of the property, real property, movable property.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელებს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ქალბატონ ირმა პერანიძესა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურიკულუმის ექსპერტს ქალბატონ სალომე გაგნიძეს. რომ არა ეს ადამიანები და მათთან მჭიდრო ურთიერთობა, ეს ნაშრომი არ შეიქმნებოდა. მათი უშუალო ძალისხმევითა და გვერდში დგომის შედეგად, შევძელი წარმომედგინა წინამდებარე ნაშრომი, რომლის შექმნაშიც ლომის წვლილი მიუძღვით ზემოთ აღნიშნულ პირებს.